



3575-15-14-2-202003270835



N 15-14/3575

27/03/2020

საქართველოს გენერალურ პროკურორს  
ბატონ ირაკლი შოთაძეს

## წინადადება

██████████ მიმართ სამართალდამცავი  
ორგანოების თანამშრომლების მხრიდან ჩადენილ შესაძლო დანაშაულებზე გამოძიების დაწყების  
შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული  
შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“  
საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონი ირაკლი,

2019 წლის 5 დეკემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა N2  
პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულ ██████████, რომელმაც  
აღნიშნა, რომ 2018 წლის 14 დეკემბერს მის მიმართ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების  
მხრიდან ადგილი ჰქონდა არაერთ უკანონო ქმედებას.

### ფაქტობრივი გარემოებები

██████████ განმარტებით, 2018 წლის 14 დეკემბერს, დაახლოებით 16:00 საათზე ქუთაისში,  
იმერეთის პროგაციის ბიუროს გვერდით, ავტომანქანებით გზა გადაუკეტა პოლიციის ათამდე  
თანამშრომელმა, რომლებმაც იგი დააკავეს, გადაიყვანეს ქ. ქუთაისის პოლიციის მე-2  
განყოფილების ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც მის მიმართ ადგილი ჰქონდა მუქარას, პირადი  
ცხოვრებით შანტაჟს, ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

██████████ გადმოცემით, პოლიციის თანამშრომლებმა დაანახეს, რომ ამავე განყოფილების  
ადმინისტრაციულ შენობაში ასევე იმყოფებოდა მისი მეგობრის, ██████████, მეუღლე -  
██████████. ██████████ უთითებს, რომ პოლიციის წარმომადგენლები აშანტაჟებდნენ  
██████████ მისი ინტიმური ურთიერთობის (რაც რეალურად არ არსებობდა)  
გასაჯაროებითა და ██████████ შეტყობინებით. იგი აცხადებს, რომ რამდენიმე საათში

პოლიციის მე-2 განყოფილებაში შეიყვანეს [REDACTED] მეუღლე - [REDACTED], რომელიც განთავსებული ჰყავდათ იმავე სივრცეში და რომლის მიმართაც, ასევე, ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა.

[REDACTED] აღნიშნა, რომ მან დაკავების მომენტიდან მოითხოვა ადვოკატთან დაკავშირება, რის გამოც მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. რამდენიმე საათში, ვინაიდან მისგან ვერ მიიღეს აღიარებითი ჩვენება<sup>1</sup>, მოატყუეს, თითქოს ათავისუფლებდნენ. თუმცა, მანამდე მოიტანეს ჭიქა და უთხრეს, რომ მისგან უნდა აეღოთ ბიოლოგიური მასალა ნერწყვის სახით, რაც გაიგზავნებოდა ექსპერტიზაზე. ბიოლოგიური მასალის აღების მიუხედავად, ის არ გაათავისუფლეს. [REDACTED]

[REDACTED] უთითებს, რომ იგი გადაიყვანეს ჯერ პოლიციის მე-4 განყოფილებაში, შემდეგ საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამსახურში, სადაც უკვე ექსპერტის მონაწილეობით აუდეს ნერწყვის ნიმუში და დაკავებიდან 12 საათის შემდეგ, დაახლოებით დილის 05:00 საათზე, გაათავისუფლეს.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა [REDACTED] და თავისუფლების შესაძლო უკანონო შეზღუდვის დროს მათთან ერთად სავარაუდოდ მყოფ პირებს. სათანადო ინფორმაცია იქნა გამოთხოვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

#### ა) ახსნა-განმარტებები

[REDACTED] 2019 წლის 13 დეკემბრის ახსნა-განმარტების თანახმად, 2018 წლის 14 დეკემბერს იმყოფებოდა საცხოვრებელ სახლში, სოფელ [REDACTED], როდესაც, დაახლოებით 19:00 საათზე, ეზოში შევიდნენ ავტომატებით შეიარაღებული პოლიციის თანამშრომლები. ისინი თავიდანვე იყვნენ აგრესიულები, წაართვეს მობილური ტელეფონი, უყვიროდნენ, აყენებდნენ სიტყვიურ შეურაცხყოფას. რამდენიმე წუთში მივიდა მეზობლად მცხოვრები მისი დედა, [REDACTED] რომელიც ტიროდა, თუმცა არ უშვებდნენ მასთან, აკავებდა პოლიციის 3 თანამშრომელი, რის შემდეგაც ის ჩასვეს მანქანაში და წაიყვანეს ქ. ქუთაისის პოლიციის მე-2 განყოფილებაში. ადგილზე მყოფ ადამიანებს მოატყუეს, თითქოს მიყავდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვანის პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში.

[REDACTED] განმარტებით, პოლიციის მე-2 განყოფილებაში შეიყვანეს ერთ-ერთ ოთახში, სადაც რამდენიმე საათის მანძილზე აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ამანტაქებდნენ პირადი ცხოვრების გამჟღავნებით, ემუქრებოდნენ „გაქრობით“, თუ არ ითანამშრომლებდა და ხელს არ დაადებდა თავის მეუღლესა და [REDACTED]. ოთახში ყოფნის დროს ჩამოწიეს ჟალუზი და დაანახეს, რომ განყოფილებაში შეყვანილი ჰყავდათ ასევე, [REDACTED]. თითქმის დილის საათებში ის გამოიყვანეს ოთახიდან, სადაც ნახა მისი მეუღლე და [REDACTED]. სამივე გადაიყვანეს პოლიციის მე-4 განყოფილებაში.

[REDACTED] აღნიშნა, რომ მას დაკავების მომენტიდან გათავისუფლებამდე ჩამორთმეული ჰქონდა ტელეფონი, არ მისცეს ზარის განხორციელების საშუალება, არავინ იცოდა მისი ადგილსამყოფელი.

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებაზე (ყაჩაღობა).

2020 წლის 5 მარტის ახსნა-განმარტების თანახმად, 2018 წლის 14 დეკემბერს, დაახლოებით 19:00-20:00 საათზე იმყოფებოდა მეზობელთან, [REDACTED] სოფელ [REDACTED], რა დროსაც საცხოვრებელ სახლში, შევიდა ათამდე პოლიციელი, ხოლო ათზე მეტი იმყოფებოდა ეზოში. სამართალდამცავები თავიდანვე აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. ერთ-ერთი მათგანი იყო [REDACTED].

მოქალაქე უთითებს, რომ გაიყვანეს გარეთ, ორ პოლიციელს ხელვავი ჰქონდა გაკეთებული, ჩასვეს ავტომანქანაში, ხოლო საცხოვრებელ სახლში ჩაატარეს ჩხრეკა. ავტომანქანაში კვლავ განაგრძეს სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, ეუბნებოდნენ ხელი დაედო [REDACTED], უთხრეს, რომ [REDACTED] ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა მის მეუღლესთან, [REDACTED]. დაახლოებით ერთ საათში წაიყვანეს და 21:00-22:00 საათისთვის პირდაპირ შეიყვანეს ქ. ქუთაისის პოლიციის მე-2 განყოფილებაში. მან თავიდანვე სთხოვა პოლიციის თანამშრომლებს დაკავშირდებოდა ადვოკატს, თუმცა უფლება არ მისცეს.

მოქალაქის ცნობით, პოლიციის მე-2 განყოფილებაში აიყვანეს მე-2 სართულზე, სადაც ასევე დაკავებული ჰყავდათ [REDACTED] მის მიმართ გრძელდებოდა სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, შემდეგ მოუტანეს ჭიქა და უთხრეს, რომ მისგან უნდა აეღოთ ბიოლოგიური მასალა ნერწყვის სახით. მან უარი განაცხადა აღნიშნულზე, ვინაიდან იცოდა, რომ ამ ფორმით არ ხდებოდა ნერწყვის ნიმუშის აღება. აღნიშნულის შემდეგ შეკვირდნენ, რომ მისი მეუღლეც იმყოფებოდა N2 პოლიციის განყოფილებაში, რომელსაც დაანახებდნენ, თუ მისცემდა პოლიციის თანამშრომლებს ბიოლოგიურ ნიმუშს ნერწყვის სახით. თანხმობის მიცემის შემდეგ შეაღეს ერთ-ერთი ოთახის კარი და დაანახეს მისი მეუღლე, რომელიც იყო ნამტირალევი.

[REDACTED] აღნიშნა, რომ ჭიქის გამოყენებით ნერწყვის ნიმუში აუღეს ასევე, [REDACTED]. აღნიშნულის შემდეგ, განყოფილებაში მიყვანიდან დაახლოებით 6-7 საათში, სამივე დაკავებული ავტომანქანით გადაიყვანეს პოლიციის მე-4 განყოფილებაში, სადაც მას ხელი მოაწერინეს დოკუმენტებზე, რომლებიც არ წაუკითხავს, ისე იყო განერვიულებული. ამის შემდეგ ის პოლიციელებმა წაიყვანეს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამსახურში, სადაც ექსპერტის მონაწილეობით აუღეს ნერწყვის ნიმუში და დაახლოებით დიღის 06:00 საათზე გაათავისუფლეს.

2018 წლის 14 დეკემბერს [REDACTED] დაკავების ფაქტს ადასტურებს [REDACTED] მისი 2019 წლის 13 დეკემბრის ახსნა-განმარტების თანახმად, დაახლოებით 15:00-16:00 საათზე იმყოფებოდა პრობაციის იმერეთის ბიუროში, თან ახლდა [REDACTED] და [REDACTED]. [REDACTED] განმარტებით, პრობაციის ბიუროდან გამოსვლისთანავე მათ ავტომობილს წინ გადაუდგა მანქანა, რის შემდეგაც 10-ზე მეტმა სამართალდამცავმა სამივე მათგანი ძალის გამოყენებით გადმოიყვანეს ავტომანქანიდან, [REDACTED] ჩასვეს ცალკე, ხოლო [REDACTED] გადაიყვანეს პოლიციის პირველ განყოფილებაში.

[REDACTED] დაკავების ფაქტს ასევე ადასტურებენ [REDACTED] და [REDACTED]. მოქალაქეთა 2020 წლის 27 იანვრის ახსნა-განმარტების თანახმად, 2018 წლის 14 დეკემბერს, დაახლოებით 18:00 საათზე პოლიციის თანამშრომლები იმყოფებოდნენ სოფელ [REDACTED] საცხოვრებელ სახლში. მათ არ უშვებდნენ ეზოში, [REDACTED]

<sup>2</sup> [REDACTED] ახსნა-განმარტების მიღება ვერ მოხერხდა, ვინაიდან არ იმყოფება საქართველოში.

■ ■ ■ წაართვეს ტელეფონი. რამდენიმე წუთში პოლიციის 3-4 თანამშრომელმა სახლიდან გამოიყვანეს ■ ■ ■ და ჩასვეს პოლიციის ავტომანქანაში. მათ პოლიციის წარმომადგენლებმა მოატყუეს, თითქოს დაკავებული გადაყავდათ ვანის პოლიციის აღმინისტრაციულ შენობაში, თუმცა იქ მისვლის დროს არ დახვდათ მიყვანილი.

■ ■ ■ დაკავების ფაქტს ადასტურებენ ■ ■ ■ და ■ ■ ■ . 2020 წლის 30 იანვრის ახსნა-განმარტებების თანახმად, 2018 წლის 14 დეკემბერს, დაახლოებით 20:00 საათზე ■ ■ ■ საცხოვრებელ სახლში, ■ ■ ■ , შევიდა 7-8 ცეცხლსასროლი იარაღებით აღჭურვილი პოლიციის თანამშრომელი, რომლებიც თავიდანვე იყვნენ აგრძესიულები, გადაყარეს წიგნები, მაცივრიდან გადმოყარეს საკვები, არ აძლევდნენ განძრევის საშუალებას, მოკიდეს ხელი მათთან ერთად მყოფ ■ ■ ■ და გაიყვანეს გარეთ. ამასთანავე, აღნიშნულმა პირებმა საცხოვრებელ სახლში ჩაატარეს ჩხრევა, ისე, რომ არ განუმარტავთ აღნიშნულის საფუძველი.

### მ) შესწავლილი დოკუმენტები

სახალხო დამცველის აპარატმა 2019 წლის 23 დეკემბრის N15-14/13698 წერილით შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია 2018 წლის 14 დეკემბერს ■ ■ ■ პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის პროცედურის, განყოფილებაში ყოფნის სამართლებრივი სტატუსისა და ადვოკატთან ხელმისაწვდომობის თაობაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 17 იანვრის N MIA 7 20 00133940 პასუხის თანახმად, 2018 წლის 14 დეკემბერს, სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეოთხე განყოფილების აღმინისტრაციულ შენობაში 2018 წლის 14 დეკემბერს განხორციელდა ■ ■ ■ და მოწმის სახით გამოკითხვა, რის შემდგომაც მოხდა მათი ტანსაცმლის ამოღება. ასევე, შემოწმდნენ ნარკოლოგიური ექსპერტიზაზე და აღებულ იქნა ბიოლოგიური და ხელის კვლის ნიმუშები. 2018 წლის 15 დეკემბერს, მოხდა ■ ■ ■ მოწმის სახით გამოკითხვა. 2018 წლის 14 დეკემბერს, ■ ■ ■ გამოკითხულ იქნა მოწმის სახით. ამოღებულ იქნა მისი ტანსაცმელი. სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის იმერეთის საექსპერტო სამსახურის ექსპერტის მიერ აღებულ იქნა ბიოლოგიური ნიმუში.

ვინაიდან ახსნა-განმარტებები ასახული გარემოებები და შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებულ პასუხში ასახული ინფორმაცია წინააღმდეგობაში მოდიოდა ერთმანეთთან, სახალხო დამცველის აპარატმა 2020 წლის 19 თებერვლის N15-14/1963 წერილით გამეორებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, 2018 წლის 14 დეკემბერს ■ ■ ■ , ■ ■ ■ ქ. ქუთაისის პოლიციის მე-2 განყოფილებაში ყოფნის საფუძვლის თაობაზე. ამავე წერილით გამოთხვილ იქნა განყოფილებაში ელექტრონული მეთვალყურეობის შედეგად მოპოვებული მასალები/ვიდეო ჩანაწერები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 27 თებერვლის MIA 3 20 00521459 პასუხის თანახმად, 2018 წლის 14 დეკემბერს მოქალაქეები - ■ ■ ■ და ■ ■ ■ დეპარტამენტის ქ. ქუთაისის პოლიციის მე-2 განყოფილების აღმინისტრაციულ შენობაში გადაყვანილნი არ ყოფილან, ხოლო 2018 წლის 15 დეკემბერს მოქალაქე - ■ ■ ■ დეპარტამენტის ქ.

ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების ადმინისტრაციულ შენობაში გამოკითხულ იქნა მოწმის სახით (01:30-02:50 სთ).

ამასთან, მიღებული პასუხის თანახმად, შესაბამის ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის ჩამწერ მოწყობილობაზე მონაცემები შენახული არ არის.

საგულისხმოა, რომ იმერეთის პრობაციის ბიუროს მიერ გაცემული N2/10/115305 დოკუმენტის თანახმად, [REDACTED] პრობაციის ბიუროში ვიზიტი დაფიქსირებულია 2018 წლის 14 დეკემბერს 14:55 საათზე, რაც ემთხვევა [REDACTED] მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

აღსანიშნავია, ასევე, რომ საკითხის შესწავლის პროცესში [REDACTED] მიერ წარმოდგენილი, სს „სილქნეტის“ მიერ გაცემული ამონაწერის თანახმად, [REDACTED] სახელზე რეგისტრირებულ სატელეფონო ნომერზე - [REDACTED] 2018 წლის 14 დეკემბერს 18:39 საათიდან 15 დეკემბრის 04:13 საათამდე არ ფიქსირდება შემავალი/გამავალი ზარი ან მიღებული ტექსტობრივი შეტყობინებები (sms), მაშინ როდესაც, მანამდე და შემდეგ სატელეფონო ნომერზე აქტიურად ხორციელდება ზარები. ამასთან, 15 დეკემბერს 04:13 საათზე დაფიქსირებულია გამავალი ზარი ტაქსის გამოძახების სერვის „მაქსიმ“-ში. საგულისხმოა, რომ ამავე დროს ფიქსირდება შემომავალი ტექსტური შეტყობინებები გამოტოვებული ზარების შესახებ, რაც, მიუთითებს ტელეფონის სავარაუდოდ გამორთულ მდგომარეობაში ყოფნაზე.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ შესწავლილი დოკუმენტების თანახმად, [REDACTED] გამოკითხვის ოქმი ნაწარმოებია 2018 წლის 14 დეკემბერს 20:35 – 22:05 საათებში, რის შემდეგაც 7 საათის მანძილზე, 15 დეკემბრის 04:50 საათამდე რაიმე საგამოძიებო მოქმედება ჩატარებული არ არის.

ასევე, ნიშანდობლივია, რომ [REDACTED] დაზარალებულის/მოწმის გამოკითხვის ოქმში გამოკითხვის ჩატარების ადგილად მითითებულია, „საგამოძიებო ორგანო, პოლიციის მე-2 განყოფილება“, ხოლო [REDACTED] და [REDACTED] გამოკითხვის ოქმებში აღნიშნულია მხოლოდ „საგამოძიებო ორგანო“, დაკონკრეტული გარეშე.

### სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალსახად ადგენს, რომ პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად.<sup>3</sup>

საგულისხმოა, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოწმის სტატუსის მქონე პირის მიმართ იძულებითი ღონისძიების გამოყენებას უშვებს მხოლოდ გამონაკლის გარემოებებში, მისი სასამართლოში წარდგენის მიზნით.<sup>4</sup> სხვა შემთხვევაში კი, ნებისმიერი სახის იძულება, ზემოქმედება, უნდა შეფასდეს როგორც კანონმდებლობის უხეში დარღვევა და ადამიანის უფლებების ხელყოფა.

<sup>3</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 170, ნაწილი 2.

<sup>4</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 49, ნაწილი 3.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოკითხულ იქნეს მხარეთა მიერ. დაუმვებელია, გამოსაკითხი პირი აიძულონ, წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ტრადიციული შეხედულებაა, რომ პირის ფაქტობრივად „დაკავება“, რომელიც არ არის აღიარებული, არის კონვენციის მე-5 (1) მუხლით დაცული ფუნდამენტური გარანტიების აბსოლუტური უგულებელყოფა და წარმოადგენს ამ დებულების ყველაზე სერიოზულ დარღვევას<sup>5</sup>.

ევროპულმა სასამართლომ საქმეში კურანგა რუმინეთის წინააღმდეგ, რომელშიც მოწმის სტატუსის მქონე განმცხადებელი სადაოდ ხდიდა პოლიციის შენობაში რამდენიმე საათის მანძილზე სამართლდამცავი ორგანოს წარმომადგენლების კონტროლის ქვეშ ყოფნას, როდესაც მას ჩამოართვეს ტელეფონი, უფლება არ მისცეს დაეტოვებინა შენობა, სიგარეტის მოსაწევად, ასევე, საპირფარეშოში გაყავდა პოლიციის თანამშრომელს, არ გაუშვეს საკვების საყიდლად, შეაფასა, როგორც ევროპული კონვენციის მე-5 (1) მუხლის დარღვევა. სასამართლოს განმარტებით, თავისუფლების შეზღუდვა 12:00 საათიდან 22:00 საათამდე, რასაც შიდა კანონმდებლობით რაიმე სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდა, წარმოადგენს კონვენციით დაცული თავისუფლების და უსაფრთხოების უფლების დარღვევას.<sup>6</sup> მითითებულ საქმეში, განმცხადებლის განმარტებით, არ მიეცა შესაძლებლობა ჰყოლოდა ადვოკატი ან დაკავშირებოდა ვინმეს პოლიციის შენობის გარეთ,<sup>7</sup> შესაბამისად, მისი პოლიციის შენობაში ყოფნა ფორმალურად იყო ნებაყოფლობითი.

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირს „დაკავებულის“ სტატუსი არ აქვს, ავტომატურად როდი გამორიცხავს მის დაცვას მე-5 მუხლით გარანტირებული უფლებით. საქმეში კრუპკო და სხვები რუსეთის წინააღმდეგ ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თავისუფლების უფლება იმდენად მნიშვნელოვანია დემოკრატიულ საზოგადოებაში, არ შეიძლება ადამიანი კონვენციის დაცვის გარეშე მხოლოდ იმ მოტივით დარჩეს, რომ მას ოფიციალურად დაკავებულის სტატუსი არ გააჩნია. აღნიშნულ საქმეში მოპასუხე სახელმწიფომ და შიდა სასამართლომ არ მიიჩნიეს ბატონი კრუპკო და სხვა პირები „დაკავებულებად“ შიდა კანონმდებლობის საფუძველზე, რაც ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევად შეაფასა<sup>8</sup>. სასამართლოს განმარტებით, ის რომ პირებს „დაკავებულის“ სტატუსი არ გააჩნდათ, არ ნიშნავს, რომ მათ არ ჩამოერთვათ თავისუფლება კონვენციის მე-5 (1) მუხლის პირობებიდან გამომდინარე.

ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის შეფასებით, ყველა თავისუფლება შეზღუდულ პირს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება, შეატყობინოს მომხდარის შესახებ მისთვის სასურველ ადამიანს, რომ მას აქვს ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება. სსენებული უფლებები მოქმედებს მათი დაკავების საწყისი მომენტიდანვე (ანუ იმ მომენტიდან,

<sup>5</sup> Fedotov v. Russia, 5140/02, პარ. 78.

<sup>6</sup> Creanga v. Romania, 29226/03, პარ. 108-110.

<sup>7</sup> Creanga v. Romania, 29226/03, პარ. 86-87.

<sup>8</sup> Krupko and others v. Russia, N26587/07, პარ. N37.

როცა ისინი ვალდებული ხდებიან, დარჩნენ პოლიციის თანამშრომლის ზედამხედველობის ქვეშ).<sup>9</sup>

## დასკვნა

შესწავლილი დოკუმენტების ანალიზიდან იკვეთება, რომ [REDACTED]  
და [REDACTED] მიმართ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიერ შესაძლოა  
ადგილი ჰქონოდა განზრახ უკანონო დაკავებას<sup>10</sup> და სხვა შესაძლო დანაშაულებს.

მართალია, საკითხის შესწავლის პროცესში სახალხო დამცველის აპარატმა ვერ მოიპოვა ქ.  
ქუთაისის პოლიციის N2 განყოფილებაში ელექტრონული მეთვალყურეობის მასალები/ვიდეო  
ჩანაწერები, თუმცა ზემოაღნიშნული გარემოებების შეჯერებისა და კუმულაციურად შეფასების  
საფუძველზე, მიმართია, რომ 2018 წლის 14 დეკემბერს სამართალდამცავი ორგანოს  
წარმომადგენლების მხრიდან შესაძლოა არსებოთად დარღვეულიყო [REDACTED], [REDACTED]  
[REDACTED] და [REDACTED] უფლებები, რაც ერთი მხრივ გამოიხატა მათი თავისუფლების  
უფლების სავარაუდო უკანონო შეზღუდვაში, შესაძლო მუქარასა და იძულებაში, მეორე მხრივ კი  
მათთვის საპროცესო გარნტიებით სარგებლობის შესაძლებლობის შეზღუდვაში, რაც, თავის  
მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით დაცულ სფეროს წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს  
ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით,  
დაიწყოთ და ჩაატაროთ ეფექტიანი გამომიერა [REDACTED], [REDACTED] და [REDACTED]  
[REDACTED] მიმართ პოლიციის თანამშრომლების მიერ განხორციელებულ შესაძლო  
დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც ამოიღოთ ყველა  
რელევანტური კერძო ან/და საჯარო ადგილიდან/დაწესებულებიდან ელექტრონული  
მეთვალყურეობის სისტემის ვიდეო ჩანაწერები.

წარმოდგენილი წინადადების განხილვის შედეგები, გთხოვთ, გვაცნობოთ 20 დღის ვადაში,  
„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის  
შესაბამისად.

დანართი: 39 (ოცდაცხრამეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

5-  


სახალხო დამცველი



<sup>9</sup>CPT სტანდარტები (2010), გვ. 73, პარ. 23. იხ. <<https://www.refworld.org/pdfid/4d7882092.pdf>>.

<sup>10</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლი.